

XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი

(წინასწარი შენიშვნები)

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების Q სერიაში 98 ნომრით დაცულია მანუსკრიპტი¹, რომელსაც არც სათაური აქვს და არც თარიღი. წიგნის შემდგენელიც არსად იხსენიება. მუზეუმის ხელნაწერ კატალოგში ამ ძეგლზე ნათქვამია: „ქართულ-თურქული ლექსიკონი და ქართულ-თურქული ტექსტები (ქართულის შრიფტით). მხედრული ხელნაწერი, მე-19 საუკუნის დასაწყისისა (ან მე-18 საუკუნის დასასრულისა)“².

პროფ. ე. თაყაიშვილს „ძველი საქართველოს“ III ტომში მოთავსებული აქვს მარტვილის მონასტრის ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, რაც მან „ერთის თვალის გადავლებით მოასწრო“. ამ აღწერილობაში 74-ე ნომრად ნაჩვენებია „ქართულ-თათრული ლექსიკონი, თათრული სიტყვებიც მხედრული ანბანით სწერია. ბევრი პროზაც არის თათრულათ ნათარგმნი, იმ 8°, 636 ფურც. ანტონ კათალიკოსის შემოღებული ასოებიც იხმარება ტექსტში, მე-XIX საუკ. დასაწყისის უნდა ეკუთვნოდეს“³.

ვფიქრობ, რომ მარტვილის ხელნაწერთა შორის 74 ნომრით აღწერილი და ჩვენი Q 98 ხელნაწერი ერთი და იგივე ძეგლია, რაც საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მაშინდელმა გამგემ დოც. კ. გრიგოლიამაც დაადასტურა. ოღონდ ე. თაყაიშვილის მიერ შეცდომით უნდა იყოს ხელნაწერში 636 ფურცელი ნაჩვენები, რადგანაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხელნაწერი შეიცავს 644 გვერდს (=322 ფურცელს).

ხელნაწერი პატარა ფორმატისაა. სიგრძით 17 სანტიმეტრია, ხოლო სიგანით 12, 6 სანტიმეტრის სისქე აქვს. ხელნაწერს გაკეთებული აქვს ყდა ხის მასალისაგან, რომელსაც ზემოდან გადაკრული აქვს მოყავისფრო ტყავი. ტყავზე გამოსახულია ჩაკდეულად სხვადასხვა ხასიათის ნახატობა.

ხელნაწერს პაგინაცია შემდეგში, შეიძლება აღწერის დროს, აქვს გაკეთებული ქვემო აშიებზე ფანქრით. დანომრილია „არაბული“ ციფრებით მართო recto გვერდები. ტექსტის წინ ხელნაწერში ჩაკერებულია ექვსი ფურცელი. ამ ექვს ფურცელს ცალკე აქვს პაგინაცია რომაული ციფრებით. აქაც

¹ ამ ხელნაწერზე ჩემი ყურადღება მიაქცის პროფ. დ. კობიძემ და დოც. გ. იმედაშვილმა.

² ხელნაწერის დათარიღებაზე ქვემოთ.

³ „ძველი საქართველო“, III, გვ. 78, 118.

ფურცლებია დანომრილი. ამ ექვსი ფურცლიდან მხოლოდ IV recto გვერდზეა დაწერილი მცირეოდენი ტექსტი, რომელშიც თვეების ქართული და არაბული სახელებია მოცემული. ამ ექვსი წინა ფურცლის დანარჩენი 11 გვერდი ცარიელია.

პაგინაციის მიხედვით ხელნაწერში ძირითადი ტექსტი 310 ფურცელზეა მოთავსებული. გვერდობლივ ეს მოგვეცემდა $310 \times 2 = 620$ გვერდს, მაგრამ ფურცლები ძლიერ დაუდევრად არის დანომრილი. რამდენიმე ადგილას ფურცელი დაუნომრავად არის დატოვებული. დაუნომრავია, მაგალითად, 90-ე, 91-ე, 211-ე, 213-ე, 222-ე, 231-ე, 254-ე, 260-ე, 263-ე, 273-ე და 295-ე ფურცლების მომდევნო ფურცლები. ასე რომ სულ 310 ფურცელი კი არა, $310 + 11 = 321$ ფურცელია. რადგანაც 25 ნომერი ზედიზედ ორ ფურცელს აქვს შეცდომით დასმული, ამიტომ 321-ს უნდა დაემატოს კიდევ ერთი ფურცელი. ამრიგად, ხელნაწერში სულ უნდა იყოს $322 \times 2 = 644$ გვერდი.

ამის გარდა ხელნაწერის ყოველი მე-5 ფურცლის v გვერდს მარცხენა აშიაზე ზევით მელნით დაწერილი 10, 20, 30, 40 და ასე შემდგომ ციფრები უნის. ეს გვერდობლივი აღრიცხვა ათეულებით მიყვანილია მცირეოდენი შეცდომით 630-მდე და შემდეგ 636-მდე.

ხელნაწერის ყველა გვერდი ტექსტით შევსებული არ არის. ზოგი გვერდის მხოლოდ მეოთხედი და უფრო ნაკლებიცაა დაწერილი, ზოგი გვერდისა კი — ნახევარი. არის აგრეთვე სავსებით ცარიელი გვერდები და ფურცლებიც. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხელნაწერის I-სა და III ნაწილებში, რომლებიც ლექსიკონებს შეიცავენ. ლექსიკონის შემდგენელი, ჩანს, განზრახ ტოვებდა თავისუფალ ადგილებს იმისათვის, რომ თანდათან შეეესო სალექსიკონო მასალით გარკვეულ ასოზე დატოვებული ადგილი. სხვადასხვა ადგილას სხვა ხელით მიწერილი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ სალექსიკონო ნაწილზე შემდეგში, შეიძლება ავტორის სიკვდილის შემდეგ, სხვებსაც უმუშავიათ.

სავსებით ცარიელია შემდეგი გვერდები: 18 v, 19 v, 20 v, 25 v II, 27 v, 31 v, 32 v, 33 r და v, 43 v, 45 v, 46 v, 47 v, 51 r და v, 53 r, 55 r, 56 v, 57 v, 59 v, 61 r, 62 r, 64 r, 66 r, 71 r, 72 r, 73 v, 74 v, 76 v, 79 r, 81 v, 82 v, 83 v, 84 v, 85 v, 86-დან 97-მდე r და v¹, 116 v, 165 r, 207 r და v, 209 v, 210 r და v, 212 r და v, 213 r და v, 215 r და v, 216 r და v, 217 v, 218 r, 222 r, 224 v, 225 r, 228 r, 231 v, 231-ის მომდევნო დაუნომრავი ფურცლის r, 232 r და v, 233 r, 234 r და v, 235 r, 236 v, 237 r, 238 r და v, 239 r, 240 v, 241 r, 243 r და v, 244 r, 245 r და v, 246 r, 247 r და v, 248 v, 250 r, 251 r, 252 r, 253 r, 257 r, 260 r, 261 v, 262 v, 263 v, 263-ის მომდევნო დაუნომრავი ფურცლის r, 264 r, 265 r, 266 r, 268 r, 273 r, 273-ის მომდევნო დაუნომრავი ფურცლის v, 274 v, 275 v, 277 v, 278 v, 280 r, 281 r, 282 v, 283 v, 284 v, 285 v, 287 r,

¹ ამ ცარიელ ფურცლებში, როგორც ხემათაც აღინიშნა, 2 ფურცელი, 90-ისა და 91-ის მომდევნო, დაუნომრავად არის დატოვებული.

288 r, 290 v, 293 r, 294 v, 295 v, 297 r, 299 r, 300 r, 301 v, 302 v, 304 r, 305 r, 307 r, 308 r, 309 r და 310 r.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში სხვადასხვა მეტნაკლებობით შეუვსებელ გვერდებს, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია, სავსე გვერდებზედაც სტრიქონთა რაოდენობა სრულებით თანაბარი არ არის. ზოგ სრულ გვერდზე რომ, მაგალითად, 11 სტრიქონია, ზოგზე 20-ია. რა თქმა უნდა, აქ ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ძეგლი სხვადასხვა ხელითაა ნაწერი, ზოგან მსხვილად, ხოლო ზოგან ძლიერ გაკრული ხელით.

ძეგლის როგორც ქართული, ისე თურქული ტექსტი დაწერილია ქართული მხედრული ასოებით; ოღონდ სალექსიკონო ნაწილში როგორც ძირითადი ქართული სიტყვა, ისე მისი თურქული თარგმანის შემცველი სიტყვა ასომთავრულითაა დაწყებული. უნდა ითქვას, რომ ეს წესი მთელი წიგნის მანძილზე სავსებით გატარებულია. გაბმულ ტექსტებშიც ქართული და თურქული ფრაზების პირველი სიტყვა ასომთავრულით იწყება¹.

ხელნაწერის ტექსტი მასალის ხასიათისა და განლაგების მიხედვით შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: I—ქართულ-თურქული ლექსიკონი (1 r—97 v), II—ქართულ-თურქული ტექსტები (98 r—207 v, მათ შორის 161 v-დან დაწყებული მხოლოდ თურქული ტექსტია), III—ქართულ-თურქული ლექსიკონი (208 r—310 v).

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ძეგლი დათარიღებული არ არის. მაგრამ ხელნაწერის, რიგის მიხედვით, მეორე ნაწილში, სადაც გაბმული ქართულ-თურქული ტექსტები გვაქვს, მოთავსებულია სხვათა შორის ერთი წერილი, რომელიც ნამდვილ ამბავს ასახავს და კიპროსის კუნძულზე იმ დროს არსებული წმ. გიქქოს მონასტრის კრებულისაგან არის გამოგზავნილი. წიგნში მოტანილია ამ წერილის ქართული და თურქული ტექსტი². ვინაიდან ჩვენი ძეგლის დათარიღება ძირითადად ამ წერილის მონაცემების მიხედვით არის შესაძლებელი, საჭიროა ეს წერილი კარგად გავიცნოთ.

წერილი მიმართულია „ყლსა კერძოს იქ მყოფსა დიდებულსა... წათა მიტროპოლიტთა და ყოველთა სიმდაბლით მსახურთა სამღუდელთა და ქეს მეუფისა კეთილმსახურებითა განმდიდრებულთა სამკვიდრო ყოველს მართლმადიდებელს ქრისტიანს... სამართლით განმდიდრებულთა ბეზირგანთა, შეწყნარებელთა მოურავთა“ და სხვათაღმე. წერილის ავტორია „წა და კურთხეული ჯელმწიფის აღშენებული, გიქქო დიდებული სახელდებული და კიპროს შინა კმნილი“ მონასტრის კრებული. წერილში მოთხრობილია მონასტრის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რომელიც დიდ ხანძარს გამოუწვევია. „ყოვლად წმიდის ბრძანებით ჩვენ მრავლის განსაცდელი განვიცადენით, სულ მონასტრის კერძოობა ცეცხლით დაიწვა და წახთა, მტვერ-ტალახი შეიენა ათას შეიდას ორმოც და მეთერთმეტეში, ეკლესიის მეტი საყდარშიდაც შესღვითა და სასხდომელი დაიწვა, დიდის ძალით. ცეცხ-

¹ ჩემ ძიერ გადმოწერილ და გამოსაცემად დამზადებულ ტექსტში ეს წესი დაცული არ არის—თავკიდური ასომთავრული ასოები ყველგან შეცვლილია მხედრულით.

² გვ. 102 r—115 v.

ლის ალი დადგა, სასწაულ მოქმედის წის ხატის მეტი¹. მონასტერი მეტისმეტად დაზარალებულა: „ვალს ქვეშ დაერჩითო“ იწერებიან და „ჩენის ყოფისაგან რომ გავდგეთ ამ ვალისაგან გამოსვლვა არ იქნებაო“², „ამოდენ ვიტირეთ, მიწისპირი დავასოვლეთო“ და სხვ. მონასტრის კრებული მძიმე მატერიალურ პირობებში შედგომია ახალი შენობის აშენებას. ისედაც მძიმე მდგომარეობა უფრო გაუართულებია იმ გარემოებას, რომ მშენებლობის დროს „ერთი კერძო გაკეთებული გასკდა და დაიქცა, შვიდი ოსტატი იმ დიდროანმა ქვებმა ქვეშ დაიტანა“. წერილში „საკვირველ სასწაულს“ მიეწერება ის, რომ ოსტატების „გვამებს რომ დასაფლველად ვეძებდით... ყველა ცოცხალი ვნახეთო“. შემდეგ მონასტრის შენება დაუმთავრებიათ („გასრულდა ადგილის გაკეთება“). მონასტრის აშენების პერიოდში კრებულს საკმაოდ ბევრი ვალი აუღია. „სახარჯო თეთრი სარგებლით ავიღეთ. პ'დ რომ ვალი ავიღეთ ახლანდელების ორივესი სარგებელი პირდაპირი შეიქნაო“³. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მონასტრის კრებული ამ წერილით აგზავნის, უთუოდ, საქართველოში მოძღვარს „ვინმე მაგიერის სახედ სახელით იოვაკიმე პროტოსინგელოსს“, რომელიც წერილში დახასიათებულია როგორც „წს მონასტრის და ჩნი საყვარელი მახლობელი ძმა. მონასტრის მეტად სწორეთ დაჯერებული მსახური და ჯელმწიფის ყ'დ წის ერთგული მონა“⁴. ამის შემდეგ წერილში ითხოვენ დახმარება აღმოეჩინოს ამ პირს მონასტრის სასარგებლოდ ფულის შეგროვებაში და წერენ: „მდიდრის სალაროსაგან მოწყალება უბოძეთ ამასო“. შეწირულების შეგროვებასთან ერთად კრებული ითხოვს აღნუსხულ იქნეს სახელები „მამით, დედით, თავით“ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად და ცოცხალთათვის ვედრების აღსავლენად პარაკლისებში „სასწაულ მოქმედის ხატის წინაშე“. კრებული ევედრება ადრესატებს „საყდრებში სათხოველმა ჭურჭელმა ჩამოიაროს, მოწყალებისათვის არც ერთი არ დასტოვოთო“. რადგანაც „მონასტერი ყოვლისფერის გაწყობილებით დაიწვა“, ამიტომ „ვერცხლი იქნეს, ფარჩა იქნეს სახმრისათვის შეგვეწიენითო“.

როგორც ამ წერილში აღნიშნულია, კიპროსის წმ. გიქქოს მონასტერი 1751 წელს დაწვერა. ახლა გამოსარკვევია შემდეგი საკითხები: როდის დაიწერა „სასწავლო წიგნი“ მოთავსებული ეს წერილი და როდის გამოგზავნეს იგი იოაკიმეს ხელით, იყო თუ არა მართლაც იოაკიმე პროტოსინგელოსი საქართველოში და სად და როდის იქნა შედგენილი ჩვენი „სასწავლო წიგნი“.

მართლაც, საქართველოში დაცული საბუთების მიხედვითაც ირკვევა, რომ იოაკიმე პროტოსინგელოსი კიპროსიდან საქართველოში ჩამოვიდა და შემდეგ აქვე განაგრძო ცხოვრება და მოღვაწეობა.

¹ გვ. 106 r.

² გვ. 105 v.

³ გვ. 109 v-110 r.

⁴ გვ. 111 r და v.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული „აქტების“ I ტომში¹ მოთავსებულია „პირობის წერილი“, რომელიც იმერეთის მეფის დავითისადმი² მიუერთმევია „ყოვლად უღირს-უნდოს გიქკოს წმიდისა მონასტრისა პროტოსინგელოსის იოაკიმეს“. პროტოსინგელოსი იოაკიმე ამ „პირობის წერილში“ აღნიშნავს, რომ „ამ ქვეყანას ჩუშნის წმიდის მონასტრის მონაზონი და არცაჲნ პროტოსინგელოსი, არცა წინამძღუარი დამკვიდრებულ-იყო ქვეყანად იმერეთისად, არამედ თქუშნის მოწყალებისა ძლით თქუშნს დიდებულს მეფობაში დაგვადგინეთ და მრავლითა პატივითა შეგვიწყნარეთ და ვედრებისა ჩუშნისაებრ საწადელი ჩუშნი აღგვისრულეთ და გვიწყალობეთ საუკუნოდ ჩუშნის წმიდის გიქკოს მონასტრის სადიდებელად და სულთა და ხორცთა თქუშნთა საწირავ-სამლოცველოდ წმიდის ვარძიის ღუთის-მშობლის ეკლესია და ყმანი მისნი ლომსიათ-კეცს“³. შემდეგ „პირობის წერილში“ ლაპარაკია იმაზე, რომ ვარძიის მონასტერი გადადის ხსენებული პროტოსინგელოსის გამგებლობაში და მის ხელშია მონასტრის შემოსავალი „ამ პირობით, რომ რაც იმ ვარძიის გამოსავალი რამ იქნებოდეს, ვარძიასვე მოხმარდებოდეს და მასზედ მდგომელს აძლებინებდეს და ამას გარდა რაც საბატონო გამოსავალი იქნებოდეს, ის უნაკლულოდ გიქკოს მონასტერში უნდა წავიდოდეს და თქუშნის განძლიერებისათვის ილოცვიდენ და ყოველს დღეს თქუშნთჳს და თქუშნის ძმის მეფის სოლომონისათჳს წირვა არ მოაკლდებოდეს არც აქ ვარძიას და არც იქ წმიდა გიქკოს მონასტერში“ და სხვ. საბუთი დათარიღებულია 1784 წლით, აზის ბექედი იოაკიმე პროტოსინგელოსისა. დედანზე ყოფილა მისივე ხელმოწერა „ბერძულად“⁴.

ამრიგად, პროტოსინგელოსი იოაკიმე, რომელიც კიპროსიდან საქართველოში გამოუგზავნიათ, ტომით ბერძენია. საქართველოში მისი ჩამოსვლის თარიღი ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ ამისი დაახლოებით გარკვევა შეუძლებელი არ არის.

მონასტრის შენება კარგა ხანს უნდა გაგრძელებულიყო. სამშენებლო ხარჯებისათვის მონასტრის კრებულს აუღია ფულადი ვალი, რომელიც საქართველოში გამოსაგზავნი წერილის დაწერის დროს გადახდილი არ არის. წერილში ნათქვამია, რომ ძველი (აღბათ, მონასტრის შენების დაწყების დროისა) და ახალი ვალების „სარგებელი პირდაპირი შეიქნაო“. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარეგნობას, რომ XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპაში კანონით გათვალისწინებული პროცენტის უკიდურესი ნორმა არ აღემატებოდა 10%-ს⁵, შეიძლება, რა თქმა უნდა დაახლოებით, დადგინდეს

¹ Акты, собранные Кавказской Археологической Комиссией, т. I, Тифлис, 1866 г., № 59—60.

² ეს არის დავით II, იმერეთის მეფე, რომელიც მეფობიდან გადაყენებულ იქნა 1792 წელს და გარდაიცვალა ახალციხეში. იხ. იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე. შდრ. Дж. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, № 46.

⁵ პროფ. ნ. ქოიავა, კრედიტი XVIII საუკუნის საქართველოში. „სტალინის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის შრომები“, XXXIV, № 27, თბილისი, 1948. პროფ. ნ. ქოიავა აქვე წერს, რომ „სინამდვილეში იგი გაცილებით უფრო მაღალი იყო“, მაგრამ ასეთ დეტალებს ჩვენი მიზნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს და საერთოდ პროცენტების მიხედვით დათარიღება უაღრესად პირობითია.

წერილის დაწერის დრო, იმისათვის რომ ვალში გადასახდელი სარგებელი 10 პროცენტის რაოდენობით თავნს გაუსწორდეს, საჭიროა 10 წელიწადი-რადგანაც წერილის მიხედვით „პდ რომ ვალი ავიღეთ ახლანდელეების ორივესი სარგებელი პირდაპირი შეიქნაო“, უნდა ვივარაუდოთ, რომ მონასტრის დაწვის დღიდან წერილის დაწერამდე დაახლოებით 20—30 წელიწადი უნდა გასულიყო. მაშასადამე, წერილი (1751+20 ან 30) 1771-1781 წლების ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი და პროტოსინგელოსი იოაკიმეც ამავე ხანებში უნდა გამოგზავრებულყო საქართველოში. 1784 წელს, ზემოხსენებული „პირობის წერილის“ დადებისას, პროტოსინგელოსი იოაკიმე საქართველოში უკვე ცნობილი პირია, ის აქ წარმომადგენელია გიქქოს მონასტრის, წინამძღვარია ვარძიის მონასტრისა და ისეთი ნდობით სარგებლობს, რომ ამავე მონასტრის სახელით „პირობით წერილს“ დებს იმერეთის მეფე დავითთან ვარძიის მონასტრის შემოსავლის დანიშნულებისა და განაწილების შესახებ.

ჩვენი „სასწავლო წიგნი“, რომელშიც კიპროსიდან ჩამოტანილი წერილია მოთავსებული, შედგენილი უნდა იყოს ვარძიის მონასტერში ამ წერილის ჩამოტანის იოაკიმეს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მისი ამ მონასტერში მოღვაწეობის დროს. ეკვი არაა, რომ იოაკიმე კიპროსიდან პირდაპირ ვარძიის მონასტერში უნდა იყოს ჩამოსული (დაახლოებით 1771—1781 წლებში), რადგანაც ამ მონასტერს საერთოდ უფრო ადრეც უნდა ჰქონოდა კავშირი კიპროსის გიქქოს მონასტერთან. დიპ. ბაქრაძის ცნობით, მართლაც, ვარძიის მონასტერი „მიწერილი იყო ბერძენთა გიქქოს მონასტერს“¹. ცხადია, რომ კიპროსიდან იოაკიმეს მიერ ჩამოტანილი და „სასწავლო წიგნი“ მოთავსებული წერილი ამ ვარძიის მონასტერში იქნებოდა დაცული. ზემოთ მოტანილი თარიღების (1771—1781 და 1784 წწ.) გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ძველი შედგენილი უნდა იყოს XVIII საუკუნის 80—90-იან წლებში.

¹ Дм. Бахрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 46. აღსანიშნავია ისიც, რომ გიქქოს მონასტერი ქართული მონასტერი არ არის და საერთოდ იქ ქართველები სულ არ უნდა ყოფილიყვნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მონასტრის დაწვის შემდეგ მონასტრის კრებული საქართველოში შემოწირულების შესატყვისად ქართველს კი არ აგზავნის, არაქედ ბერძენს, რომელმაც ქართული წერა-კითხვა, ყოველ შემთხვევაში ჩამოსვლის პირველ ხანებში, არ იცის და დოკუმენტებზე ბერძნულად აწერს ხელს. წმ. გიქქოს მონასტერი უფრო ძველადაც ყოფილა ცნობილი, მაგრამ მის ქართულობაზე არაფერია ნათქვამი. მაგალითად: Никифор, еще в 1635 г. выпрошенный царем Теймуровым (II) у Кирилла, патриарха иерусалимского, потом введенный в сан архиепископа Киккийского в Кипре монастыря и в этом сане участвовавший в посольстве к царю Михаилу Феодоровичу и патриарху Физарету... (Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 64—65. ეს ცნობა მონაწილე პროფ. ვ. დონდუაშვილს). ძველ ქართულ წყაროებში, როგორც ეს თ. ქორდანიაშვილს გვახსენებს, ცნობილია კიპროსის კუნძულზე ქართველთა მონასტერი უაღრესად ძველია (თ. ქორდანიაშვილი, ქრონიკები, 1, გვ. 128, 130, 131; შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1941, გვ. 90). შესაძლებელია წერილი ქართულად ძალიან მონასტრის რომელიმე ქართველ თანამშრომელს დააწერინეს.

ვარძიის მონასტრის მღებარეობა ვახუშტის ასე აქვს განმარტებული: „ამ ძირულას, შორაპანს ზეით, მოერთვის ფუთს, ვარძიის-წყალი სამკრიდამ. გამოსდის ფერსათს. ამ ქვეზედ ვარძიას არს მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი“¹.

რომ ჩვენი ძეგლი ვარძიის მონასტერშია დაწერილი იქიდანაც ჩანს, რომ ტექსტის ქართულ ნაწილში ზემო-იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელი მონაცემებია წარმოდგენილი. მართალია, ტექსტის ქართული ნაწილი ძირითადად მაინც უფრო იმდროინდელი სალიტერატურო ენის ნორმებითაა წარმოდგენილი, მაგრამ მასში ძლიერ ბევრია დიალექტური წარმოშობის მასალა, რომლის მიხედვით ჩვენი ძეგლის დაწერის ადგილად შეიძლება დადგინდეს ზემო-იმერეთის ვარძიის მონასტერი.

ამ საინტერესო დიალექტური მასალიდან დავასახელებთ ზოგიერთს: ბოჯღალ—ჩათალ (თ. *çatal*, 5 r)², ბუძგვი—ქირფი (*kirpi*, 5 v), გარდირია—ჯინი ტუთდუ (*cini tuttu*, 10 r), დაასოვლე—ისლათ (*islat*, 14 v), დარჩვი—ბოღ (*boğ*, 15 v), დაგჯა—ესკიდი (*eskidi*, 17 r), დაამცხიკვა—ახსჯრდი (*aksirdi*, 16 r), თაბუნო—ორთაქ (*ortak*, შდრ. იმერ. „შეუთაბუნდა“, 25 r), კოხი—დოლუ (*dolu*, 29 r), კვახი—ქაბახ (*kabak*, 29 r), კაკალი—თანე (*tane*, 29 r), კაკალი პური—ბუღდა (*buğday*, 30 r), კინჩხი—ენქსა (*ense*, 30 v), ლაფში—ტოტახ (*dudak*, 38 r), მქორი—თევათირ (*tevatür*, 35 r), რუხვი—ბოზ (*boz*, 46 r), რავარი—ნასჯლ (*nasıl*, 46 r), სავარცხალი—ტარაქ (*darak*, 49 r), ულაში—ბუიჯქ (*bıyık*, 55 v), ყივნა—დონ (*don*, 64 v) და მრავალი სხვა³.

ამრიგად, 1. კიპროსის კუნძულიდან ჩამოსული პროტოსინგელოს იოაკიმეს იმერეთის ვარძიის მონასტერში დამკვიდრება, 2. მის მიერ ჩამოტანილი მოწოდების წერილის აქ განხილულ ძეგლში მოთავსება, ძეგლის ენის ზემო-იმერული წარმოშობის დიალექტიზმები, ვფიქრობ, საკმაო დამაჯერებლობით ცხადყოფენ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ძეგლი დაწერილია იმერეთის ვარძიის მონასტერში.

ირკვევა, რომ იოაკიმე მარტო ვარძიის მონასტრით არ განსაზღვრავდა თავის მოქმედებას. გიქქოს მონასტრისათვის დახმარების აღმოსაჩენად ის მიმართავდა, ალბათ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ მონასტრებსა და მართლმადიდებლურ მრევლებს. მართლაც, იოაკიმეს ჩვენ ვხედავთ გურიაში იქვე ნაპოვნი საბუთების მიხედვით. ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, არჩევს რა გურიაში მოგზაურობის დროს მის მიერ აღმოჩენილ ვახტანგ გურიელის დროს სხვადასხვა საბუთს, ამბობს, რომ Кроме Атанасиоса греческим архи-

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941, გვ. 154.

² პირველად მოცემულია დედნის ქართული სიტყვა, შემდეგ მისი თურქული თარგმანი ხელნაწერში წარმოდგენილი ქართული ტრანსკრიფციით, ბოლოს ფრაზილეტში იგივე თურქული სიტყვა თანამედროვე სალიტერატურო ფორმაში.

³ აქ მოტანილი დიალექტური მაგალითების ზემო-იმერული წარმომადგენლობა დამიდასტურა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ივ. ქავთარაძემ.

მანდრიტომ является еще Иоаким в акте от 15 мая 1817 г., „данном крестьянам гроба господня, всем Благилзе“... Судя по печати этот Иоаким должен быть тот самый, который в акте 1784 г. назван протосингелом Гиккойского монастыря¹. აქტის ხელისმომწერთა შორის, მაშასადამე, არის არქიმანდრიტი იოაკიმე, რომელიც აქტზე ასვამს თურმე ჩვენთვის „პირობის წერილიდან“ უკვე ცნობილ ბეჭედს.

დიმ. ბაქრაძის მიერ დამოწმებული რუსეთის მეფე ალექსანდრე I-ის რესკრიპტიდან ჩანს, რომ 1802 წელს იოაკიმე ბერძენი ახტალის ეპისკოპოსად კურთხეულა. რესკრიპტის მიხედვით: „во уважение просьбы мастеровых, работавших на ахталских заводах, он повелел Св. Синоду посвятить по их желанию в архиереи, находившегося там греческого архимандрита Иоакима, приказав притом отпустить из кабинета нужную для архиерейского одеяния ризницу, с производством ему жалованья 1,000 р.“ (А.К.А.К., т. I, стр. 523)². ასევე ახტალელ ეპისკოპოსად იხსენიებს იოაკიმეს პლ. იოსელიანი: Последний из ахталелов, Иоаким Грек. Посвящен в сан 13.X.1802 г.³.

საფიქრებელია, რომ პროტოსინგელოსმა იოაკიმემ თავისი სიცოცხლე საქართველოში გაატარა. ვარძიის მონასტერში წინამძღვრად ყოფნისას, XVIII საუკუნის ბოლო წლებში მას უნდა მიეღო არქიმანდრიტობა, როგორაც მას იხსენიებს დ. ბაქრაძე გურული საბუთის მიხედვით. XIX საუკუნის დასაწყისში, იოაკიმე, ალბათ, უკვე მოხუცებული, გადადის ახტალაში და ეკურთხება ეპისკოპოსად. ამ მოსაზრებას წინ ედგება ის გარემოება, რომ დ. ბაქრაძის მიხედვით გურულ აქტში ის არქიმანდრიტად იხსენიება ჯერ კიდევ 1817 წელს, მაშინ, როდესაც ვიცით, რომ 1802 წელს იოაკიმე ეპისკოპოსია. შეიძლება ვახტანგ გურიელის დროის საბუთების გარჩევისას რაიმე შეცდომა იყოს დაშვებული, თუმცა, რა თქმა უნდა, ისიც შეიძლება, რომ ვარძიის წინამძღვარი—პროტოსინგელოსი, შემდეგში არქიმანდრიტი იოაკიმე და ახტალელი „ბერძენი“ იოაკიმე სხვადასხვა პირებიც იყვნენ. ჩვენ აქ ამის გარკვევას არ გამოვეკიდეთ, რადგანაც ჩვენი თემისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

„სასწავლო წიგნში“ მისი შემდგენლის შესახებაც არაერთარი ცნობა არ მოიპოვება. მართალია, „წიგნი“ სხვადასხვა ხელით ნაწერ მასალებსაც შეიცავს, მაგრამ წიგნის ძირითადი ნაწილი ერთი ხელითაა ნაწერი და ერთი კაცის დაწყებული და შესრულებულია. ეს კაცი უსათუოდ ქართველია, შემოიწირული წარმომავლობისა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზემოთ მოტანილი ტიპის დიალექტურ მასალებს, რომელთა რიცხვი ძლიერ მნიშვნელოვანია, ძეგლის ტექსტი ძირითადად დაწერილია იმ დროის საწიგნო ქართუ-

¹ Дм. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Абхазе. СПб, 1878 г., гл. 321. ამავე წიგნის საძიებელში დ. ბაქრაძე აქ მოხსენებულ იოაკიმეს გიქოს მონასტრის პროტოსინგელოს იოაკიმედ მიიჩნევს.

² Дм. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, гл. 34.

³ Описание древностей г. Тифлиса, гл. 26.

ლის ნორმების მიხედვით. შემდგენელი უთუოდ წიგნიერი კაცია; ყოველ შემთხვევაში, სალთო წერილის კარგი მცოდნე.

ამის თქმა არ შეიძლება ძეგლის ტექსტის თურქული ნაწილის ავტორზე. ჩვენ არ ვიცით თურქული ტექსტი იმავე ქართულის ავტორს ეკუთვნის, თუ „წიგნის“ შემდგენელს ჰყავდა სხვა, თურქული ენის მცოდნე ან მცოდნეები, რომელნიც მას უთარგმნიდნენ ქართულ ტექსტს. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თურქულ ნაწილში საკმაოდ მოიპოვება ისეთი ადგილები, რომლებიც ქართული ტექსტის სათანადო სიტყვის ზუსტ თარგმანს არ წარმოადგენს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს არაზუსტი თარგმანები და ცდომილებანი (მაგალითად, „ბიძა“-ს თურქულ შესატყვისად უწერია „ემ-მიმ“ (4 v), რაც „ბიძა-ჩეჰს“ ნიშნავს, და არა „ემი“ და სხვ.) ისეთი ხასიათისაა, რომ თურქულის თუნდაც არასრულად მცოდნისგანაც არ არის მოსალოდნელი. უფრო საფიქრებელია, რომ „წიგნის“ ქართველ შემდგენელს დამხმარედ ჰყავდა თურქულის მცოდნე პირი, რომელსაც, ცხადია, მეტ-ნაკლებად ქართულიც უნდა სცოდნოდა. შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ „წიგნის“ ქართველმა შემდგენელმა ბერძნული იცოდა და დამხმარედ ჰყავდა თურქულის მცოდნე ბერძენი. ყოველ შემთხვევაში ქვემოთ მოტანილი მაგალითები იმას მოწმობენ თითქოს, რომ ზოგჯერ ქართული მასალის თურქულად თარგმნის დროს „წიგნის“ შემდგენელსა და მის დამხმარე პირს შორის იქმნებოდა გაუგებრობა. ამის შედეგი უნდა იყოს თურქული თარგმანების შეუსაბამობანი ზოგ დეტალში:

ტ ე ქ ს ტ ი

ა

ქართული	თურქული	ნიშნავს	უნდა იყოს
ბაბუა	დედემ (4 v)	ბაბუა-ჩემი	დედე (dede)
არშივი	ხაქემ (1 r)	ჩემი არჩივი	ხაქ (hak)
გამაძლარი	ტოიდუმ (6 v)	გაეძეხი	თოქ, დოიმუშ (tok, doymuş)
დანაშაური	ყუსკრუმუზ (13 v)	ჩვენი დანაშაული	ყუსკრ (kusr)
დაზელა	ოვ (14 r)	დაზილე (ბრძ.)	ოვმაქ (ovmak < oğmak)
ივაკრე	ალიშვერიშ (28 r)	ვაკრობა	ალიშ ვერიშ ეთ (alışveriş et)
მოყვარული	სევმელი (34 r)	უნდა უყვარდეს	სევენ (seven)
ფრინავს	უშტუ (59 r)	გაფრინდა	უჩარ, უჩუფორ (uçar, uçuyor)

ვფიქრობ, „წიგნის“ შემდგენელი რომ თურქულ ენას კარგად ფლობდეს და თურქულ თარგმანებსაც თვითონ აკეთებდეს, ის უთუოდ დაიზღვევდა თავს იმისაგან, რომ „ბაბუა“ თურქულად „ბაბუა-ჩემად“ ეთარგმნა, „გამაძლარი“ — „გაეძეხ“-ად და სხვ.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ „წიგნი“ შედგენილია ვარძიის მონასტერში. „წიგნი“ მოთავსებული გაბმული ტექსტის შინაარსის მიხედვით წიგნის შემდგენელი ქართველი სასულიერო პირია, რომელსაც თურქულ ნაწილში დამხმარედ შეიძლება ჰყოლოდა ვინმე ბერძენი და, თუ გნებავთ, იგივე პროტოსინგელოსი იოაკიმე. კიპროსის წმ. გიქქოს მონასტრიდან გამოგზავნილი წერილიც შეიძლება თურქულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი. ამ დროს თურქ დამპყრობელთა ენა ძლიერ გავრცელებული იყო არათურქულ მოსახლეობაში როგორც მთელ წინა-აზიაში, ისე ბალკანეთსა და ამიერ-კავკასიაშიც. ბერძენი თანაავტორის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე რიგი ბერძენებში, რომელიც „წიგნის“ თურქულ ტექსტში შეინიშნება: თურქული „შინდი“ (= 'ახლა') სიტყვა ძეგლში დაწერილია არა „შ“, არამედ „ს“ ბგერით — „სინდი“ < şindi || şimdi (1 v), ასევე არაბ.-თურქული „შუფჰესიზ“ (= 'უეჭველი') < شهباز დაწერილია „სუხბესიზ“, „აღმოსავლეთი“ თარგმნილია თურქული სიტყვით „გზნ დოღ“ და ბერძნულ „ანატოლ“-ად (1 v), „თბილი“-ს თურქულ შესატყვისად მოტანილია თ. „სიჯაქ“ და ბერძნული „ლიძან“-იც¹ (25 v), „კიბო“ „სტაქოს“ ია და „სკვინჩა“ — „ისპინოს“-ი. „ანგელოს“-ის თურქულ შესატყვისად „ჰერისტას“ და „სერაფიმ“ გვაქვს, არაბ. „მელაიქ“-თან (1 r) ერთად და სხვა მრავალი.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჩვენი ძეგლი სამი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილი (1 r—97 v) ქართულ-თურქული ლექსიკონია: სიტყვები დალაგებულია ქართული ანბანის რიგის მიხედვით, ოღონდ სიტყვათა შიგნით ანბანის რიგი დაცული არ არის. ლექსიკონში მოთავსებულია არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ ხშირად მოცემულია ფრაზეოლოგია (მაგ., „თუ შეხ არ გენახე, მოგვადებოდი— გვორმესაიდუმ გლურდუმ“, 26 r). ზინა იშვიათად არის მოცემული მასდარის ფორმაში; უფრო ხშირად ზინის პირიანი და უპირო ფორმებია მოტანილი: „ამბობს“ (3 v), „ასხურე“ (იქვე), „აიყარენ“ (იქვე), „ასწონე“ (იქვე), „აილე“ (იქვე), „ამოიქოშინა“ (იქვე), „ასლოკინებს“ (იქვე), „ასლიქა“ (4 r) და სხვ.; „არ“ ნაწილაკი ცალკე არ არის, მაგრამ ხშირია ზნა უკუთქმით ფორმაში: „არ მეშინია“ (3 r), „არ მოგეხმარები“ (იქვე), „არ შემოძლია“ (იქვე) და სხვ. ზოგჯერ ერთი და იგივე ზნა სხვადასხვა ფორმაშია წარმოდგენილი: „დამაჩუმე, დააჩუმეს, დავჩუმდი, დავჩუმდები, დავჩუმდე, დაჩუმდეს, დამაჩუმონ“ (16 r და v) და სხვ. ლექსიკონში მოტანილია აგრეთვე ქართული დამხმარე ზმნის შესატყვისად თურქული ე. წ. შემასმენლობითი აფიქსები: „ვარ—იმ, ხარ—სუნ, არის—ვარ, დვარ, ვართ—იზ, ხართ—სუზ“ (21 r) და სხვა. ასეთი სავარჯიშო ხასიათის მასალაც, რომელიც საკმაოდ ბევრია ხელნაწერში. მოწმობს, რომ ძეგლი ერთგვარი სასწავლო წიგნი ან სახელმძღვანელოა. სასწავლო წიგნის დანიშნულებათა ქართული ენა შეასწავლოს თურქებს, თურქულის მცოდნე მოქალაქეს.

¹ თუმცა, როგორც დოქ. თ. ყაუხჩი იშვიათად გამოარკვია, „ლიძან“-ს ბერძნულში „თბილი“-ს მნიშვნელობა არა აქვს.

ხელნაწერის მეორე ნაწილში (98 r—207 v) საღვთისმსახურო შინაარსის გაბმული ტექსტებია. აქ არის „მამაო ჩვენო“, „სიმბოლო სარწმუნოებისა“, 50-ე ფსალმუნი, სხვადასხვა ხასიათის ლოცვები, თქმულებები მოსე წინასწარმეტყველზე, ღვთისმშობელზე, იესო ქრისტეზე, სხვადასხვა დარიგება და მისთანანი. მთელი ეს მასალა ორივე ენაზე მოცემული შერეულად ისე, რომ ქართული და თურქული წინადადებები ერთიმეორეს მისდევნენ ყოველგვარი გამოცალკევების გარეშე. ოღონდ დაცულია ასეთი თანამიმდევრობა: ჯერ ქართული ფრაზა მიდის, შემდეგ მისი თურქული თარგმანი. ორენოვანი ტექსტების ბოლოს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე რელიგიური შინაარსის ტექსტებს, რომლებიც მხოლოდ თურქულ ენაზე წარმოდგენილი (161 v—207 v). მესამე ნაწილი (208 r—310 v) დაახლოებით ისეთივე ლექსიკონია, როგორიც პირველი, ოღონდ აქ ოდნავად ქარბობს ძველი ქართული ტექსტებიდან ამოკრეფილი ლექსიკური მასალა. მოცულობითაც ეს ნაწილი გაცილებით ნაკლებია პირველ სალექსიკონო ნაწილზე.

თავისთავად ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიზანს ისახავდა მაინცდამაინც ასეთი „წიგნი“, რომელ წრეებს მოემსახურებოდა ის, ვინ იყო ასეთ წამოწყებათა ორგანიზატორი. ამ საკითხებზე პასუხის გაცემა, ჩემი აზრით, ჯერჯერობით ნაადრევია. ჯერ საჭიროა შეაწავლა სხვა ანალოგიური წარმომადგენლობის ძეგლებისა, რომელთა რიცხვი უკვე ცნობილების მიხედვით არც ისე მცირეა.

ხელნაწერი—„სასწავლო წიგნი“ უთუოდ მნიშვნელოვანი ძეგლია. მისი მნიშვნელობა, რასაკვირველია, არ განისაზღვრება მარტო იმით, რომ ის შეიცავს მეტად საყურადღებო მასალებს ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის საკითხების კვლევისათვის. ეს ძეგლი თანაბრად საინტერესოა როგორც ქართული, ისე თურქული ენის ისტორიის საკითხების შესწავლისათვისაც.

ძეგლის ქართულ ნაწილში, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, დაცულია XVIII საუკუნის II ნახევარში საკმაოდ დიდი ოდენობით ჩაწერილი, ჩვენი ვარაუდით, ზემო-იმერულის დიალექტური მონაცემები ძლიერ საყურადღებო ფონეტიკურ-მორფოლოგიური და, განსაკუთრებით, ლექსიკური თვალსაზრისით.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ეს ხელნაწერი თურქული დიალექტებისათვის მეტად დამახასიათებელი და ზოგჯერ სრულიად უცნობი ენობრივი ფაქტებით. XVIII საუკუნეში ჩაწერილი თურქული დიალექტოლოგიური მასალები სპეციალურ ლიტერატურაში ძლიერ ცოტაა აღნუსხული.

ხელნაწერის მნიშვნელობა თურქული ენის ისტორიული შესწავლისათვის უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თურქული ენობრივი მასალის გადმოსაცემად გამოყენებულია ქართული დამწერლობა.

საერთოდ ცნობილი ამბავია, რომ არაბული ანბანი მეტისმეტად მოუხერხებელია თურქული ენის ფონეტიკური სინამდვილის, განსაკუთრებით თურქული მდიდარი ვოკალიზმის გადმოსაცემად. პროფ. ნ. დმიტრიევი ამის

შესახებ წერდა: Схематический арабский шрифт с бессистемно отображавшимся на письме вокализмом явился, можно сказать, историческим могильником османской фонетики. Ее нюансы были завуалированы общемусульманским письмом так же, как — и в остальной жизни, османский быт был завуалирован культурой ислама¹.

ამიტომ, ცხადია, თურქული სათვით უფრო მოხერხებული ანბანით (ჩვენს შემთხვევაში ქართულით) ტრანსკრიბირებული თურქული ტექსტები მეტად საყურადღებო და სანდო მასალას იძლევიან ისტორიული ფონეტიკის მრავალი შეუსწავლელი საკითხის გასაშუქებლად.

ქართული ასოებით დაწერილი თურქული ენობრივი ძეგლების საენათმეცნიერო მნიშვნელობას ჩვენში ყურადღება მიაქცია აკად. ა. შანიძემ, რომელიც ს. ორბელიანის ლექსიკონის წინასიტყვაობაში შემდეგს წერდა: „ცნობილია, რომ თურქული ფონეტიკის ისტორიული სახის განოსარკვევად არაბული ასოებით დაწერილი ძეგლები სანდო მასალას ვერ იძლევიან, ხოლო ქართული ტრანსკრიფციით ჩაწერილ თურქულ გაბმულ ტექსტებს, ან ცალკე სიტყვებს გარკვეული ფაქტების დადგენა შეუძლიანთ“².

საერთოდ ტრანსკრიფციით და, სხვათა შორის, ქართული ტრანსკრიფციით დაწერილი თურქული ტექსტების დიდი ენათმეცნიერული მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნული აქვს პროფ. ნ. დმიტრიევსაც: до нас дошло, амбобс პროფ. ნ. დმიტრიევი, громадное количество всякого рода османских транскрипционных текстов, начиная от отдельных глосс и кончая целыми сочинениями. Для целей транскрипции применялись всевозможные алфавиты, начиная с готского и латинского и кончая греческим, славянским, армянским, еврейским, грузинским... оставлять османские транскрипционные тексты вне поля зрения историка османского языка было бы крупнейшей методологической ошибкой“³.

აკად. ა. შანიძეს მაშინ მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ის შედარებით მცირე მასალა, რომელიც ს. ორბელიანის ლექსიკონის ზოგიერთ ნუსხაში გვაქვს ქართული სიტყვების ქართული ასოებით დაწერილი თურქული თარგმანების სახით. ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით სპეციალური ძიება არ ჩატარებულა, მაგრამ ასეთი ხასიათის მასალები ახლაც საკმარისად არის ცნობილი და მათი რიცხვი, უეჭველია, საგრძნობლად გაიზრდება. ამ ხელნაწერის გარდა, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, ცნობილია კიდევ ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში დაცული ქართული ასოებით დაწერილი თურქული ოთხთავი, ასეთივე ძეგლი ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში, აგრეთვე ქუთაისის მუზეუმში და სხვაგანაც. ასეთი ხასიათის ფრაგმენტური ჩანაწერები კი უფრო მეტია.

¹ Н. Дмитриев. Материалы по османской диалектологии. Фонетика „Караманликовского языка“. ЭКВ, III, 33-419; აგრეთვე მისივე: Azerbaijdschantische Lieder in armenischer Transkription. WZKM, XLI. Bd. 33. 127—128.

² იხ. ს.-ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928 წ., გვ. XVIII.

³ Н. Дмитриев. იქვე, გვ. 420.

თურქული სიტყვების ქართული ანბანით გადმოცემის საკმაოდ რთულ საქმეში „სასწავლო წიგნის“ შემდგენელი უთუოდ ერკვევა და ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ ყველა თურქული ბგერის გადმოცემა ქართული ასოებით შეუძლებელია. „წიგნის“ შემდგენელი ცდილობს დამატებითი ნიშნებით გადმოსცეს ესა თუ ის თურქული სპეციფიკური ბგერა. მაგრამ აქ თანმიმდევრობას ვერ იცავს და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთი და იმავე ნიშნით სხვადასხვა ბგერა აქვს გადმოცემული. ან კიდევ, ერთი და იგივე ხმოვანი სხვადასხვა ნიშნით: აქვს ტრანსკრიბირებული იქაც, სადაც მათი სხვაობა ნაკლებად არის შესაძლებელი. დამატებით ნიშნებად ივტორი იყენებს ანტონ კათალიკოზის მიერ შემოღებულ ჯ და ძ ასოებს.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დავაჯგუფოთ მაგალითები ამა თუ იმ თურქული სპეციფიკური ბგერის ქართული ავტორის მიერ აღქმისა და გადმოცემის ხერხების საილუსტრაციოდ.

ხმოვნები

1. თურქული ო ხმოვანი. ავტორს ო-ს გადმოსაცემად გამოყენებული აქვს: ა) ჯო, ე. ი. კომბინაცია ჯ-სა და ო-სი. მრავალი მაგალითიდან დავასახელებთ რამდენიმეს: ქოშქ—köşk, გოშდღლერ—göçtüler, ქოილი—köylü, ჯოთეიგუნ—öteğün, გომმექ—gömmek, დიზ ჩოქ—diz çök, ჯოქსჯრდი—öksürdü, სოქ—sök, ჯოფერიმ—öperim, გოზ—göz, ჯორდექ—ördek, გორენ—gören, ქოქ—kök, გოთჯრ—götür, ჯომჯრ—ömlür, გოზლჯქ—gözlük, გოლ—göl.

ბ) ზოგჯერ, მე მგონია, ეშლება ავტორს და ო-ს აღმნიშვნელ ასოებს სხვა თანამიმდევრობით წერს. სახელდობრ, ჯერ ო-ს დაწერს და შემდეგ ჯ-ს—ოჯრჯმჯექ—örümcek.

გ) ო ხმოვანი ავტორს ზოგჯერ მარტო ჯ ნიშნითაც აქვს გადმოცემული: გმლექ—gömlük, ჯლმექ—ölmelek, ჯგზლმიშ—çözümüş.

დ) რიგ შემთხვევებში ავტორს ო აღქმული აქვს როგორც ო და ქართული ო-ნით გადმოსცემს: სოზ—söz, დოშემე—döşeme, სოგუთ—sögüt, ჩომლექ—çömlük, ქოთი—kötü, სოილერ—söyler, ორთ—ört, დოგგლმიშ—dövül-müş და სხვ.

ამრიგად, თურქული წინარიგის ბაგისმიერი ო ქართველ ავტორს გადმოცემული აქვს ძირითადად კომბინირებული ნიშნებით—ჯო, ძლიერ იშვიათად ოჯ ასოებით. ზოგჯერ მარტო ჯ—ნიშნით და რიგ შემთხვევებში ო- ასოთი.

ძნელია, რა თქმა უნდა, მარტო ამ მაგალითებზე დაყრდნობით დავასკვნათ, თითქოს ჩვენს ავტორს ო-ს სხვადასხვა ხერხით გადმოცემით უნდოდა მისი ნუანსების ფიქსირება. ამ შემთხვევისათვის უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ავტორს უჭირდა მისთვის უცხო ბგერის თავისთავად ზუსტი ასახვა და სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად გადმოსცემდა მას, თუმცა, სიმართლე უნდა ვთქვათ, ავტორს ძირითადად სწორად აქვს გადმოცემული ეს ო—ხმოვანი.

პროფ. ნ. დმიტრიევის მიერ განხილულ ანალოგიური ხასიათის ძეგლში: „Книга за наушение тѣхъ языковъ славяно-болгарскѣи и греческѣи и карамалицкѣи“, რომელშიც თურქული მასალა ბულგარული ასოებით არის გადმოცემული, ამ თვალსაზრისით საინტერესო მომენტებია. ამ ძეგლშიც ო გარკვეულ შემთხვევებში, უმეტესად გ და კ თანხმოვანთა შემდეგ, რომელნიც ყოველთვის პალატალები არიან, გადმოცემულია *ი* ან *იо*-თი (შდრ. ჩვენი ძეგლის გო)—*к:аплере, г:акте, г:норлум* და სხვ.¹

პროფ. დმიტრიევის მიერ განხილულ ძეგლშიც მრავალი შემთხვევაა ო ხმოვნის ი ასოთი გადმოცემისა (შდრ. ჩვენი ძეგლის *ო*-თი გადმოცემული ო). როგორც ნ. დმიტრიევიც აღნიშნავს, ეს არ უნდა იყოს მარტო იმით გამოწვეული, რომ ავტორი ცუდად აღიქვამს თურქულ სპეციფიკურ ბგერას. რიგ თურქულ დიალექტებში მკვლევარებს შენიშნული აქვთ ო-ს ე. წ. გუტურალიზაცია (მაგ., *gözlü'jem*)². სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნული დიალექტური წარმოშობის მაგალითების გარდა, ჩვენ შეგვიძლია ამას დავსძინოთ ისიც, რომ, აზერბაიჯანულ დიალექტებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით აზერბაიჯანულის სალიტერატურო ენაშიც *kör* „ბრმა“ სიტყვის ისტორიულად მხოლოდ ო-დ ცნობილი ხმოვანი ეხლა უკანარიგის მიერ ი ხმოვანშია გადასული. ამ საკითხის შემდგომი უფრო გაღრმავებული კვლევა, ალბათ, საბოლოოდ გაარკვევს ამ მეტად მნიშვნელოვან ფონეტიკურ პროცესს

2. თურქული ი ხმოვანი. ა) თუ ო ხმოვნისთვის „სასწავლო წიგნის“ შემდგენელს კომბინირებული გო ნიშანი აქვს ნახმარი, ი-სათვის მას უმთავრესად მხოლოდ გ ნიშანი აქვს გამოყენებული: ქგჩქ—*küçük*, სგშქ—*sü-mük*, გღშქ—*gümek*, სტ—*süt*, მჟდე—*müjde*, გოზლქ—*gözlük*, ორგმ-ჯექ—*örümcek*, დგჯნ—*dügün*, ზგმ—*üzüm*, ჯფრ—*üfür*, ბღბღლ—*bülbül*, გგმიშ—*gümüş*, სგრჯნ—*sürün*, თგი—*tüy*, ზგქ—*üzük*, ქჟჟრ—*küfür*, ომგრ—*ömür*, სგზ—*süz*, თგქრდი—*tükürdü*, სგრდი—*sürdü*, სგრგჯნ—*sürgün*, ჩგრგმგშ—*çürümüş*

ბ) ი გადმოცემულია უ ასოთი: ქუთუქ—*kütük*, სუჩსგზგმ—*sücsüzüm*, თუქენდი—*tükendi*, დოშურდი—*döşürdü*, დუშერ—*düşer*, სოგუთ—*söğüt*, დუშუნმექ—*düşünmek*, სურთ—*sürt*, გურგენ—*gürgen* და სხვ.

ერთი შემთხვევა გვაქვს ი-ს უ და გ-ს კომბინაციით გადმოცემისა: უგსტგნდე—*üstünde*.

საერთოდ ჩანს, რომ ჩვენი ავტორი საკმაოდ ერკვევა თურქულ ხმოვანთა თავისებურებაში და მათ გადმოსაცემად განსაკუთრებულ ნიშნებს მიმართავს. მართალია, ზოგ შემთხვევაში ავტორი ი ბგერას ქართული უ-ნით გადმოსცევს, მაგრამ, ისევე როგორც ო-ს გუტურალიზაციაზე ითქვა, შესაძლებე-

¹ Н. Дмитриев, Материалы по османскѣи диалектологии. Фонетика „Карамалицкого“ языка. ЗКВ, III, гл. 452.

² მაგალითად, იხ. M. Räsänen, Türkische Sprachproben aus Mittel-Anatolien. II, Jozgat Vil. Studia Orientalia, VI 2. Helsingforsiae, 1936, გვ. 85.

ლია ამ შემთხვევაშიც რეალური ფონეტიკური ვითარების ასახვასთან გვექონდეს საქმე. მ-ს ა-ში გადასვლა დადასტურებულია რიგ თურქულ დიალექტებში: არზრუმის, ტრაპიზონის, კონიისა და ბალკანეთისაში (მაგალითები: *optüm* < *öptüm*, *d'ordum* < *gördüm*, *t'omur* < *kömr* და სხვ.)¹. ამასვე უკერძო მხარს ე. პისარევის მიერ აღწერილი ტრაპიზონის დიალექტში შენიშნული *ayz* სიტყვა < *düz*².

თურქული მ ხმოვანი სრულებით სხვაგვარად არის წარმოდგენილი ორ შემთხვევაში: 1. დეზილდილერ < *düzeldiler* და 2. თვთვნი < *tütünü* სიტყვებში. აქ პირველ შემთხვევაში მ გადმოცემულია „ვი“ კომპლექსით, ხოლო მეორეჯერ — ეგ-თი. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის, რადგანაც მე მაქვს სხვაგან, მაგალითად, სამცხე-საათაბაგოს ქართულ მოსახლეობაში სხვათა მიერ ჩაწერილი თურქული მეტყველების ნიმუშები, სადაც სათანადო თურქულ სიტყვაში მ-ს ნაცვლად „ვი“ გვაქვს, ხოლო ო-ს ნაცვლად — „ე“; მაგალითისათვის მოვიტან, გვირგისტან < *Gürcüstan*, გვეზ < *göz*, ქეეზ < *köy* და სხვ. ეს ძლიერ საინტერესო მოვლენაა და იგი შეიძლება ცალკე მსჯელობის საგნად იქცეს.

3. თურქული მ ხმოვანი. ჩვენი ავტორი ამჩნევს აგრეთვე მესამე თურქული ხმოვნის ო-ს თავისებურებას და მას ჩვეულებრივი ი-საგან განარჩევს ძირითადად მაინც. მართალია, ამ ხმოვნის გადმოსაცემადაც ავტორი ხმარობს იმავე ჯ ნიშანს, რითაც ის უმთავრესად მ-ს, ხოლო ნაწილობრივად ო-საც გადმოსცემდა, მაგრამ ფაქტი მაინც საინტერესოა. მაგალითები: აზიკ — *azık*, ნე ვაკი — *ne vakit*, ითბალღ — *ithalığı*, ბაშლიკ — *başlık*, ბაკი — *bakır*, სი — *sırr*, ხისიზლიკ — *hırsızlık*, ყი — *kız*, ყიზლიკ — *kızılıcık*, იაკი — *yakın*, ბულაშბილი — *bulaşık*, ხასტალიკ — *hastalık*, ადი — *adı*, ყიარამ — *kırarım*, სი — *sık*, ყიდი — *kıydım*, იარილი — *yarılımı*, აზი — *aşık*, დილი — *dağıt*, დანიშორამ — *danışırım*, ყი — *kış*, სი — *sırt*, მი — *mış*, ბილი — *bildiren* და სხვ.

როგორც ვხედავთ მ ხმოვანი ძირითადად ჯ ნიშნით არის გადმოცემული. ძლიერ განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც მ ხმოვანი უ-თი, ან ო-თი გადმოცემული: კალი — *kalın*, სინორ — *sınır*, იაფარამ — *yaparım*, აირული — *ayrılırım*.

უფრო მეტია შემთხვევები, როდესაც მოსალოდნელი მ ხმოვანი ქართული ი-ნითაა გადმოცემული: იარილი — *yarılımı*, იაქანი — *yıkandırı* და სხვა მრავალი. ჩვენ ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დიალექტური ფონეტიკური სინამდვილე არის ასახული, რადგანაც ასეთ ფორმებს პარალელები მრავალ დიალექტში მოეპოვება.

თურქულის დანარჩენი ხუთი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ გადმოცემულია მათი ქართული შესატყვისებით.

¹ მომყავს Н. Дмитриев-ით, დასახელებული ნაშრომი, გვ. 455.

² В. Писарев, Несколько слов о трезизондском диалекте, 1901, გვ. 180.

თანხმოვნები

1. თურქული *y* [ა]. თურქული *y* სპეციალურ ლიტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც წყენისმიერი მჟღერი სპირანტი თანხმოვანი. ეს არ არის ე. წ. ნახევარ-ხმოვანი ან უმარცვლო *o*. ეს იქიდანაც ჩანს, რომ, მაგალითად, ყიფჩაღური ტიპისა და სხვა თურქულ ენებშიც მას შეესატყვისება თანხმოვნები *ğ, ğ, s* და სხვ. (*yol* || *jol* || *col* || *suol* და სხვ.)¹. მიუხედავად *y*-ის ასეთი თვისებისა, ჩვენს ხელნაწერში ის ყველა პოზიციაში ქართული *ი*-ნით არის გადმოცემული: იოხუშ—*yokuş*, ია ბუ, ია ო—*ya bu, ya o*, იაქენ—*yakin*, აიალტაშ—*ayaktaş*, იოხ—*yok*, თუი—*tüy*, იასთულ—*yastık*, იარა—*yara*, იოლ—*yol*, აი—*ay*. ასე ერთფეროვნად არის გადმოცემული ჩვენს ძეგლში თურქული *y* ბგერა.

k || *q*—საყურადღებო მასალას იძლევა ჩვენი ძეგლი სალიტერატურო თურქულში არაბული *q*-ით გამოხატული უკანაენისმიერი ხშული ყრუ თანხმოვნის შესახებ. ჩვენი მასალების მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს: 1. *q*=ქართულ *ქ*-ს სხვადასხვა პოზიციაში: ხაქემ—*hakkım*, იაქენ—*yakin*, ხასტალქ—*hastalık*, ქარანლუხ—*karanlık*, ქაზ—*kaz*, ქურბაღა—*kurbağa*, ფამბუქ—*pambuk*, უშაქ—*uşak*, ქაია—*kaya*, ქაბაქ—*kabak*, ოქუმუშ—*okumuş*, სქ—*sık*, იაქმალ—*yakmak*, ბალქ—*balık*, ქთლქ—*kıtlık* და სხვ.

2. *q*=ქართულ მკვეთრ „კ“-ს: კუსკუნ—*kuskun*, კურუ ჯზემ—*kuru üzüm*, კოფმუშ—*kopmuş*, კოფარ—*kopar*, კაფლან—*kaplan* და სხვ.

3. *q*=ქართულ „ყ“-ს თავკიდურ პოზიციაში: ყართალყუშუ—*kartalkuşu*, ყანჯა—*kanca*, ყარაბაშ—*karabaş*, ყზელ—*kızıl*, ყავ—*kav*, ყაჩმაქ—*kaçmak*, ყოჩ—*koç*, ყაბუქ—*kabuk*, ყოჯა—*koca*, ყარდაშ—*kardaş* და სხვ.

4. *q*=ქართულ „ხ“-ს სიტყვის შუა და ბოლოკიდურ პოზიციაში: იოხუშ—*yokuş*, ყორხმამ—*korkmam*, იოხ—*yok*, საიხლარ—*sayıklar*, ჩოხ—*çok*, ყოხუ—*koku*, ჩახალ—*çakal*, დალაბ—*dalak*, ახელსჯ—*akılsız*, იაფრაბ—*yaprak*, თუთხალ—*tutkal*, ყორხუ—*korku* და სხვ.

5. *q*=ქართულ „ღ“-ს სიტყვის შუა და ბოლოკიდურ მდგომარეობაში: ბულადარ—*bukadar*, ყალმაღალ—*kalmakal*, ბრალჯრემ—*birakırım*, იასთულ—*yastık* და სხვ.

თუ სალიტერატურო თურქულის სინამდვილიდან გამოვალთ, ამ შესატყვისობებში ყველაზე უფრო ბუნებრივია *q*-ის ქართული „ქ“ და „კ“ ბგერებით გადმოცემა. სალიტერატურო თურქულსა და ზოგ დიალექტში, მათ შორის ტრაპიზონულში, *q* უკანაენისმიერი ფშვინვიერი „ქ“ ბგერაა. ამდენად ჩვენი ავტორი ძალიან ახლოსაა სინამდვილესთან, როდესაც ის *q*-ის გადმოსაცემად ძირითადად „ქ“-ს ხმარობს. რაც შეეხება იმ მცირერიცხოვან მაგალითებს, სადაც *q*-ის მაგივრად მკვეთრი „კ“ გვაქვს, ეს უნდა აიხსნას თურქული მჟღერებისა და ფშვინვიერების მკვეთრად აღქმისაკენ საერთო მიდრე-

¹ ნ. დმიტრიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 107—108.

კილებით, როგორც ეს უკვე ცნობილია და რომელზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. შესაძლებელია ჩვენს ძეგლში ც-ის „ქ“ და „კ“ ბგერებით გადმოცემა ტრაპიზონულ დიალექტში არსებული სინამდვილის ანარეკლი იყოს და „წიგნის“ შემდგენლის ინფორმატორი გამოსული იყოს ტრაპიზონის ვილაიეთიდან. ვ. პისარევის მიერ 1901 წელს დადასტურებულია ტრაპიზონის დიალექტში ც-ის ხშულად წარმოთქმა ისევე, როგორც ეს სალიტერატურო თურქულში გვაქვს¹.

საგრძნობი რაოდენობის მასალებით არის ჩვენი „წიგნში“ წარმოდგენილი ც-ის ნაქისმიერი ხშული „ყ“ თანხმოვნით გადმოცემა სიტყვის თავში (ყოჩ—koc და მისთ.). საერთოდ ცნობილია, რომ აზერბაიჯანულსა და ანატოლიის დიალექტებში ც გამჟღერებულია; აზერბაიჯანულში ის გვაძლევს ხშულ მელერ „ი“-ს (რაც ოფიციალურ ორთოგრაფიაშიც დადასტურებულია), ანატოლიის სხვადასხვა დიალექტში გ—საც (guş, gız ყარსში) გვაძლევს და ო—საც (yuvan—انغان, yys—قىز, gurban, gardaşlıg—[ყარსი]² და სხვ.).

ც-ს „ყ“-დ გადმოცემა, ვფიქრობ, გამოძახილია კვლავ თურქულ მელერ-თა და ფშვინვიერთა გამკვეთრებისაკენ მიდრეკილებისა ქართველების წარმოთქმაში. ოღონდ „კ“ თუ ტრაპიზონული ფშვინვიერი ც-ის ქართული რეფლექსი იყო, „ყ“ მელერი „ლ“-ს გამოძახილი უნდა იყოს, ისევე როგორც „ლარიზის“ პარალელურად „ყარიზი“-ც გვაქვს.

ყოველ შემთხვევაში ჩვენი ძეგლის მასალებიც ადასტურებენ არაბულისა და თურქული სიტყვების ც-ის სხვადასხვა რეფლექსებს ქართულში.

აქარულ-თურქულის ურთიერთ გავლენის შესწავლისას დოც. ელისაბედ გუდიაშვილის მასალებიც დაახლოებით ასეთივე სურათს იძლეოდა. ც-ის შე. სატყვისად „ყ“ და „კ“ თანხმოვნები იყო. ასეთი თურქული სიტყვები მან სხვადასხვა გზით შემოსულებად მიიჩნია.

თურქული ყრუ ნაპრალოვანი f თანხმოვნის გადმოსაცემად ჩვენი ავტორი კანონზომიერად ანტონ კათალიკოზის მიერ შემოღებულ „ფ“ ასოს ხმარობს: შეფტალი—şeftali, ფელან—filân, ნეფეს—nefes, ქჷფჷრ—küfür, ფილ—fil, ფიშექლიქ—fişeklik, ფესტესელი—vesveseli, თარაფმდა—tarafında და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რიგი თურქული ხშული ფშვინვიერებისა და მელერების ქართული მკვეთრებით გადმოცემა. მართალია, ამ თვალსაზრისით ავტორი თანამიმდევრული არ არის და ყველგან არ აქვს ეს წესი გატარებული, მაგრამ ძეგლში მაინც საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალაა ამისი. უეჭველია, ეს შემთხვევითი არ არის, რადგანაც საერთოდ შენიშნულია, რომ ქართველური ტომის წარმომადგენელი თურქული ენის მელერებსა და

¹ В. Писарев. Несколько слов о требизондском диалекте. ЗВО, XIII, II—III, 1901, СІІБ, გვ. 175 და შემდგომ.

² А. Caferoğlu. Doğu İllerimiz ağzlarından toplamalar. სტამბოლი, 1942, გვ. 147, 160, 161.

ფშინვიერებს ძირითადად მკვეთრად აღიქვამს. ჩვენ ამ საკითხს დაწვრილებით ვეხებით ერთ ჩვენს ჯერ დაუბეჭდავ შრომაში, რომელიც თურქული ტრანსკრიფციით ქართული საკლთარი სახელების გადმოცემას ეხება. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ თურქულ მეღერ და ფშინვიერ ხშულთა ქართულ ნიადაგზე გამკვეთრება შენიშნული აქვთ ჰანურის ყველა მკვლევარს (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა). განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა ეს ფაქტი ს. ელენტიშვილი თავის „ჰანურ ტექსტებში“¹ და უწოდა მას ბკერათგადაწევა. საამისო მაგალითები ჩვენს ძეგლში ბევრია; მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს:

შეფტალი—şeftali, აიალტაში—ayaktaş, ხასტალქ—hastalık, ჰასტაიმ—hastayım, ტოიმაქ—doymak, ტოიდუმ—doydum, ტოლდურ—doldur, ბუტარქ—budarım, ტურმაქ—durmak, ვახტ—vakıt, ესკილმიშ—eskilmış, ბაშტან—baştan, ტუთ—tut, ტაიანდი—dayandı, ისტე—iste, ფექტოვა ედერუმ—beddua ederim, ტარულდი—darıldı, ტოტახ—dodak, ტუზ—tuz, ტარქ—darı და სხვ.

ჩვენი ძეგლის მასალების საფუძველზე შეიძლება დადასტურდეს აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენა, რომელიც ბოლოკიდურ მეღერ სპირანტთა დაყრუებას შეეხება. ბოლოკიდური ხშული მეღერები თურქულში უკვე აღარ გვაქვს და ეს პრაქტიკულ ორთოგრაფიაშიც დადასტურებულია, მაგრამ სპირანტების მიმართ ეს საკითხი დიალექტურადაც შესწავლილი არ არის, თუმცა ეს მოვლენა სპორადულად ზოგი დიალექტისათვის უკვე აღნიშნულია².

ჩვენს ძეგლში ამ თვალსაზრისით იმდენი მასალაა, რომ მის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს კიდევაც აღმოსავლეთ ანატოლიის, ან ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტში ბოლოკიდური სპირანტი z-ს გაყრუება. მაგალითები: იეთიშმეს<yetişmez, ბილმეს<bilmez, ჩეს<çöz, აზეს<aziz, გუნი<gün, ბოლასლა<boğazla, დაიანმას<dayanmaz, სეჩემეს<seçemez, დენის<deniz, დეილმეს<deyilmez, სემის<semiz, ჯევის<ceviz, ბის<biz, დავასეს<davasız, ბეიასჯიგერ<bayaz ciğer, ბოლას<boğaz, გეჯენის ხაირ ოლსენ<geceniz hayir olsun, სოზტუთმას<söz tutmaz³. ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენა ზოგჯერ არ არის შენიშნული: ქაზ<kaz, ომუზ<omuz და სხვაგანაც, მაგრამ ასეთი მაგალითები მცირეა.

კიდევ ერთი საყურადღებო ფონეტიკური მოვლენა: ტექსტის უმთავრესად თურქულ ნაწილში ბაგისმიერი მეღერი „ბ“ თანხმოვნის წინ ძალიან ხშირად ვითარდება ბაგისმიერი ნახალი „მ“. ეს მოვლენა ისეთივე ხასიათისა უნდა იყოს როგორც ქართულში „ბუმბერაზი“ გვაქვს არაბული مبارز-დან, ან და „დამბაჩა“<tabanca. მაგალითები: მემბაშირ<مباشر 'ბოქაული', მბზღემ<თ. ბზღემ<bıktım, თ. მბირ<bir (101 v), მბახუსუს<باخوص, მბზგენ<თ. bugün (130 r), მბირ-მბირინე<birbirine (131 v), მბექლემეიე<beklemeye (150 r) და სხვ. ეგ მოვლენა ერთ ქართულ სიტყვაშიც არის: მბალი<ბალი.

¹ ს. ელენტიშვილი. ჰანური ტექსტები. არქაბული კილოვანი, თბილისი, 1938, გვ. XIV.

² Н. Дмитриев, Материалы по османской диалектологии. Фонетика „карама-ликского“ языка. ЗКВ, III, гл. 420.

³ შტრ. N. K. Dmitrijev, Gagausische Lautlehre. III. Archiv Orientalni, Vol. 5 (1933), № 1, გვ. 111.

დასტურდება არაბულ სიტყვებში ორი „ბ“ ბგერის დისიმილაცია აზერბაიჯანული *haman*-ის მსგავსად არაბ. *حال*-დან. ამის მაგალითებია: მუბაფბეთ < *محبته*. რაფბი თაალე < *ربنا* (122 r), ია რაფბი < *يا رب* (144 r).

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როდესაც „მ“-ს შემდეგ ჩნდება „ბ“ — თუმბან < თ. *tuṃan* (ნიფხავი).

საინტერესოა ჩვენი ხელნაწერის მაგალითებიდან პირველი მარცვლის უმახვილო *u*-ს *i*-ში გადასვლა ისეთ სიტყვებში როგორიცაა: ივარლან < *yuvarlān*, ივარლათ < *yuvarlāt*, იმრუქ < *yumruk* და სხვ. ასეთი მოვლენები პროფ. ნ. დმიტრიევის მიერ შესწავლილ ყარაბანულ დიალექტშიც არის დადასტურებული: *amušak* < *jumušak* და სხვ.¹

არაბული გრძელი ხმოვნების, ამ შემთხვევაში *ā*-ს, გამოძახილი უნდა იყოს ჩვენს ტექსტში ორი *a*-ნით გადმოცემული ხმოვანი ისეთ სიტყვებში, როგორიცაა „ილოცოს — იბაადეთ ეილესუნ“ და სხვ.

ჩვენს ძეგლში დაცული მრავალი თურქული ლექსიკური მასალა დღევანდელ თურქულში ან ჯერ კიდევ უცნობია დიალექტების შეუსწავლელობის გამო, ან კიდევ, შეიძლება, სავსებით დაკარგული. ამდენად ამ ქართულ ძეგლს ფრიად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია თურქული ენის ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ თვალსაზრისით ხელნაწერში დაცული საინტერესო მასალიდან მოვიტანთ რამდენიმეს: „შემოდეგი — ყაზელ“ (67 r). „შემოდეგი“ ქართული დიალექტური „შემოდგომა“, ხოლო მის თურქულ თარგმანად მოცემულია „ყაზელ“. თურქულში *kazel* სიტყვისათვის ცნობილია მხოლოდ ასეთი მნიშვნელობა: *„kazāl — лист; күз оланла дөккәр баглар казали ‘когда настанет осень, сады роют листья’“*. ასევეა ახალი თურქულის ლექსიკონში: *kazel — сухой лист на дереве*². ძველი ლექსიკონებიც ასეთ ახსნას იძლევიან *اغاج اوزر نده قورويان اوراق*.³ ირკვევა, რომ „ყაზელ“ (*kazel*) სიტყვის შემდგომ სემანტიკურ განვითარებას დიალექტში „შემოდგომა“ მოუცია ისევე, როგორც ალბათ იმავე დიალექტში, ოქტომბრის თვის სახელსაც ეს სიტყვა დადებია საფუძვლად: „ყაზალ აი“ (44 r) = *kazel ay*.

ასევე საინტერესოა ჩვენი ძეგლის მასალა: „მონათლე სუია ჩექ“ (40 r) და „მოვნათლავ — სუია ჩექერიმ“ (იქვე), „მონათლე“ ცნება საერთოდ თურქულში ბერძნულიდან ნასესხები *vafiz* სიტყვით (*vafiz etmek*) გამოიხატებოდა. ახლა კი ირკვევა, რომ აღმოსავლეთ ანატოლიის დიალექტში არსებობდა ამ ბერძნული სიტყვის თურქული შესატყვისი *suya çekmek* '(ბავშვის) წყალში ამოვლება'.

„მოინელა“ სიტყვის თურქულ თარგმანად ცნობილი „ხაზმ ეილედი“-ს (არაბ.-თურქ. *hazm eylemek*) გარდა მოტანილია თურქული „იემექ სუნდზრდი“

¹ იხ. ნ. დმიტრიევის დასახელებული ნაშრომი, გვ. 450.

² В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий. S. v.

³ Д. А. Магаванж, Турецко-русский словарь. S. v.

⁴ *لهجه عثمانی* — احمد و فائق — სტამბოლი. 1356 წ., გვ. 630.

(40 r) = yemek sindirdi, რაც სიტყვა-სიტყვით „საქმლის გადატეხვას“ ნიშნავს.

აღსანიშნავია „მათხოვე—ყულლანდირ“-ში (41 r) kullanmak ზმნის შუა-ლობითი გვარის ფორმა (kullandır) „თხოვება“ ზმნისათვის. საყურადღებოა ჩვენი ძეგლის ცნობა იმის შესახებ, რომ თურქულში „შარშანწინ“ ცნების გამოსახატავად არსებულა „ილიშილ“ (yılışıl) სიტყვა. „კრუხი“ დღევანდელ თურქულში ან სლავური kulučka-თი, ან კიდევ ქართული güriük სიტყვებით გადმოიცემა. ჩვენი ძეგლის მიხედვით კი „კრუხი—თუხსია“ (30 v, თ. tuksi?). შესაძლებელია ამავე ფუძიდან იყოს „საბუდარი“-სათვის მოტანილი თურქული შესატყვისი „თუხფინ“ (III ნაწ., s. v) (თ. tukpin?, tuhpin?). ხელნაწერში ბევრია ისეთი იშვიათი და უცნობი სიტყვა, როგორიცაა: „ქათქ-კუქი“ (katik = არაბ.-თურქულ mide), „სალორ—ტყემალი“ (54 r. salor), „სინოფ-მდოგვი“ (37 v, sinop), „ყუზლ იმერთა—აღდგომა“ (1 v, kızıl yumurta)¹ და სხვ. მრავალი.

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ „ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი შეადგენს ენის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს“. ამდენად ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდის შესწავლა ენათმეცნიერების წინაშე მდგარი ერთ-ერთი აქტუალური ამოცანათაგანია. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩვენს ძეგლში დაცული საკმაოდ დიდი რაოდენობის ლექსიკური მასალა მნიშვნელოვანია ორივე (ქართულისა და თურქული) ენის ისტორიულად შესწავლისათვის. ჩვენ ზემოთ ძეგლიდან მოვიტანეთ ქართული დიალექტური მასალის ერთი წყება. ასეთი მასალა საკმაოდ ბევრია და საყურადღებო XVIII საუკუნის ზემო-იმერული დიალექტის დასახასიათებლად. რიგი ქართულში ჯერ უცნობი სიტყვებისა ახსნას პოულობს სათანადო თურქული თარგმანის საშუალებით. ზოგი უკვე ცნობილი დიალექტური მასალა საშუალებას იძლევა დაზუსტდეს მისი გავრცელებულობის არე. ზოგჯერ „წიგნში“ წარმოდგენილი ქართული სიტყვისათვის ახალი დამატებითი მნიშვნელობა ვლინდება. მთელი ამ მასალის გარჩევა წარმოდგენილ იქნება გამოკვლევაში, რომელიც გამოსაცემად დამზადებულ ქართულ-თურქულ ტექსტს უნდა დაერთოს. რამდენიმე ნიმუშს მოვიტანთ ქართული მასალიდან: ბუჯერი, ბაჩა, ბაღდუმი, ბრქვე, ბუწუნი, გეზელი, თირი, თუთუბო, კაპარი, მარლი, მურალი, ოყარი, ოხქანი, პუტუნი, ქრუნი, რილო, ყავი, შვაფი, ჩაჩანაგი, კინო, ბეჩო, წბერი, ტარმუქი, უხანი, ფუში და სხვ.

¹ შდრ. ...„Красное яйцо“—пасха (В. А. Гордлевский, Эксплоатация недр земли в Турции. „Советское востоковедение“, III, 22. 110).